



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგიური ფაკულტეტი
პედაგოგიკის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
განათლების მეცნიერებები

სპეციალიზაციები: დაწყებითი განათლება;
ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა;
განათლების მენეჯერი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
პედაგოგიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
განათლების მაგისტრი

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი გიორგი ბერძულიშვილი,
ასოცირებული პროფესორი იმერი ბასილაძე,
ასოცირებული პროფესორი მაგდა თხილავა

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 855 523436, 899 24 72 40

1. სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ამოცანები

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალობების მიხედვით დაწყებითი სკოლის ინტეგრირებული (საგანთა ჯგუფის) მეთოდისტი მასწავლებელი, ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის ინტეგრირებული მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე, რომელიც ფლობს განათლების მეცნიერებების კვლევის თანამედროვე ინტერდისციპლინარულ მეთოდებს, სწავლების ინოვაციურ ფორმებსა და ხერხებს, პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლიან ცოდნას.

სპეციალობის დანიშნულება

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამისად მომზადდეს დარგის სპეციალისტი, რომელსაც ექნება მეთოდისტისათვის საჭირო კვალიფიკაცია, რომ ასწავლოს დაწყებით სკოლაში სასწავლო საგანი (საგანთა ჯგუფი).

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულს მაღალი კვალიფიკაციის თეორიული და გამოყენებითი განათლებით. განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი დასაქმდება განათლების შესაბამის სფეროებში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას.

განათლების მაგისტრის უნარ-ჩვევები

- კრიტიკული აზროვნება;
- კომუნიკაცია;
- ინფორმაციის დამუშავება და პრობლემის გადაჭრა;
- სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- თანამშრომლობა;
- სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევები.

2. კურსდამთავრებულის დასაქმება

- განათლების და მეცნიერების სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელი მუშაკი და თანამშრომელი;
- განათლების სერვის ცენტრის ხელმძღვანელი მუშაკი, თანამშრომელი;
- დაწყებით სკოლაში (I- VI კლასები) სასწავლო საგანის (საგანთა ჯგუფის) მეთოდისტი მასწავლებელი;
- განათლების საკითხებით დაკავშირებული არასამთავრობო სექტორის ხელმძღვანელი-მუშაკი.

3. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1	პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები	სავალდებულო	5	5			
2	განათლების ფსიქოლოგია	სავალდებულო	5	5			
3	განათლების ისტორია	სავალდებულო	5	5			
4	განათლების სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები	სავალდებულო			5		
5	გარემო, მოზარდი და ეკოლოგიური აღზრდა	სავალდებულო	5	5			
6	სამაგისტრო შრომის შესრულების ტექნოლოგია	სავალდებულო	5	5			
7	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდებულო			5		
8	სამაგისტრო შრომა	სავალდებულო	30	5	5		20
პროფესიული მომზადების სპეციალური დისციპლინები დაწყებითი განათლება							
1	ქართული ენა	არჩევითი	5	5			
2	ქართული ლიტერატურა	არჩევითი	5		5		
3	დაწყებითი მათემატიკის რჩეული თავები	არჩევითი	10	5	5		
4	სპეცკურსები მეთოდიკაში (ქართული ენა; ქართული ლიტერატურა; მათემატიკა)	არჩევითი	20	5	5	5	5
5	ქართული ენისა და მათემატიკის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია	არჩევითი	10			5	5
6	კორექციული პედაგოგიკა	არჩევითი	5			5	
ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა							
1	მუსიკალური აღზრდის მეთოდიკა პრაქტიკული კურსით	არჩევითი	10	5	5		
2	ესთეტიკური დისციპლინების სწავლების ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია	არჩევითი	5			5	
3	სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა პრაქტიკული კურსით	არჩევითი	10			5	5
4	ფიზიკური აღზრდის სწავლების მეთოდიკა პრაქტიკული კურსით	არჩევითი	10	5	5		
5	შრომითი აღზრდის სწავლების მეთოდიკა პრაქტიკული კურსით	არჩევითი	20	5	5	5	5
ჯამი			120	30	30	30	30

4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.